ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ დავით მჭედლიშვილს

სუბიექტების მომხსენებლების

სახელი, გვარები: ნინო ოთიაშვილი / პირადი ნომერი:[redacted]
მისამართი: ქობულეთი,რუსთაველის[redacted]
ტელეფონის ნომერი[redacted]

მედეა მოწყობილი / პირადი ნომერი[redacted]
მისამართი: ქობულეთი,[redacted]
ტელეფონის ნომერი[redacted]

სალომე შაქარიშვილი / პირადი ნომერი[redacted]
მისამართი: ქობულეთი,რუსთაველის[redacted]
ტელეფონის ნომერი[redacted]

განცხადება პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე

**პეტიცია**

ქალაქ ქობულეთში ცენტრალური მუნიციპალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაციის, წიგნადი ფონდის პერიოდული განახლებისა და ბიბლიოთეკის სრულად ამოქმედების შესახებ

ბატონო დავით,

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ვითხოვთ ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის სრულ რეაბილიტაციას, წიგნადი ფონდის განახლებას და ბიბლიოთეკის სრულად ამოქმედებას. ბიბლიოთეკა, წლებია, ამორტიზებულ შენობაში ფუნქციონირებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქალაქის კულტურულ-საგანმანათებლო პროგრამების ნაწილის განხორციელებას, მოზარდი, ახალგაზრდა და საპენსიო ასაკის ადამიანებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ბიბლიოთეკის სერვისებზე. ვფიქრობთ, რომ ქობულეთის ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროგრესული გადაწყვეტილება იქნება.

გთხოვთ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „გ' ქვეპუნქტის თანახმად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია კანონით გათვალისწინებულ ვადაში, მხარი დაუჭიროთ მას და შემდგომ მუნიციპალიტეტმა პეტიციის მოთხოვნები ასახოს მუნიციპალურ ბიუჯეტში.

პატივისცემით,

ნინო ოთიაშვილი - პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის ხელმოწერა: ნ. ოთიაშვილი

შემოსული № 84/02
06 04 2024 წ
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აპარატი

მედეა მოწყობილი - პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის

ხელმოწერა:

სალომე შაქარიშვილი - პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის

ხელმოწერა:

პეტიციის წარდგენის თარიღი:

დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია, ბლანკები
2. პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის პირადობის მოწმობის ასლი